საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო -
ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
Territorial Entity of the Ministry of Education, Science and Youth of Georgia –
Educational Resource Center of Gldani Nadzaladevi District of Tbilisi

09/12/2024

MES 0 24 0001581536

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

წარმოგიდგენთ, საქართველოს განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2024 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტეროტორიული ორგანო - ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2024 წლის განმავლობაში დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსული მოთხოვნების, მათი დაკმაყოფილებისა და/ან მათზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების, საჯარო მონაცემთა ბაზების და საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე.
2024 წლის საანგარიშო პერიოდში, რესურსცენტრში საქართველოს ზოგადი ადმინის-ტრა-ციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავიდან გამომდინარე, განცხადება არ შემოსულა. მათ შორის:

- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე რესურსცენტრში მოთხოვნა არ შემოსულა.
- საჯარო ინფორმციის გაცემის შესახებ მოთხოვნაზე უარი არ გაცემულა.
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა;

0101, ქ. თბილისი. ცოტნე დადიანის ქუჩა 28
28 Tsotne Dadiani str. Tbilisi, 0101, Georgia,
gldaninadzaladevi@mes.gov.ge; ტელ/Tel.: (+995 32) 2 69 24 91

- საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელი არ დადებულა;
- დაწესებულებას არ გაუწევია ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, ასევე, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ახორციელებს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას. რესურსცენტრში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე - მატერიალური სახით. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დაცულია საჯარო მონაცემთა ბაზები:

- დაწესებულების ხარჯთაღრიცხვის ნუსხა;
- დაწესებულების მოსამსახურეთა ბაზა;
- შემოსული/გასული წერილები;
- ინფორმაცია რესურსცენტრის და სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს შესახებ;
- საჯარო და კერძო სკოლების შესახებ არსებული საჯარო ინფორმაციათა ბაზები;
- სკოლების საშტატო განრიგები და სატარიფიკაციო სიები;
- ინფორმაცია ექსტერნატის ფორმით გამოცდაზე დარეგისტრირებული პირების შესახებ;
- ინფორმაცია სკოლების მიერ იჯარით გაცემული ფართების შესახებ;
- ინფორმაცია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამაში ჩართული სკოლების/მოსწავლეების შესახებ.
- ინფორმაცია „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული წრეების/პროექტების ფუნქციონირების შესახებ

რესურსცენტრი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, აგროვებს, ამუშავებს და ინახავს პერსონალურ მონაცემებს რესურსცენტრის მოსამსახურეთა და რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შესახებ.

2024 წლის განმავლობაში შეგროვებულ და დამუშავებულ იქნა შემდეგი მონაცემები:

- მონაცემები ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების შესახებ;
- მონაცემები პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში;
- მონაცემები ექსტერნების შესახებ - ექსტერნატის ფორმით გამოცდებზე მათი რეგისტრაციის მიზნით;
- მონაცემები მოქალაქეების შესახებ, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი სწავლის, შესაბამისი ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების ან/და მათზე ატესტატის დუბლიკატის გაცემის დადასტურების მიზნით;
- მონაცემები მოსწავლეების შესახებ, რომელთაც დაძლიეს საბაზო და საშუალო საფეხური, მათთვის შესაბამისი ატესტატის გადაცემის უზრუნველსაყოფად.

რესურსცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და სხვისთვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული და ასევე სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული „სამართლებრივი დახმარების“ რეგულაციების შესაბამისად).

პერსონალური მონაცემების გაცემა ხდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
დარსალია თეა